დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 104 ხუთშაბათი, 14 მაისი 1909 წ. № 104

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითქმის საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

კონსტანტინე ივანეს ძე სამთლიკუდოვი და დისწული მისი **მარიამ გიორგის ასული კეზელი** უზომო და გულითადის მწუხარებით აცნობებენ მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ მეუღლის და მოამაგე ძალუის

ეკატერინე გარსევანის ასულის სამთლიკუდოვისას.

დასაფლავება 14 მაისს, ქ. გორში, წმ. სამების გალავანში. პანაშვიდი დილის 11-ზე და საღამოს 7 საათზე. (1—258—1)

გრიგოლ და მნაცაკან იაგორის ძენი ფრიდონოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ მათ დედის

ეკატერინე ავეტიქის ასულის ფრიდონოვისას.

გამოსვენება ხუთშაბათს, 14 მაისს, დილის 10 ნახევარ საათზე. სერგიევის ქუჩა № 11, ნორაშენის ეკლესიაში; დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში. (3—257—3)

წარმოდგენა № 2. ქართული თეატრი **წარმოდგენა № 2.**

კვირას, 17 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ **ქ. ნ. დავითაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება**

ლალატი

ისტ. დრ. 5 მოქმ. ა. სუმბათაშვილისა თარ. გ. ყიფშიძისა.

ზეინაბის როლს შეასრულებს **ქ. ნ. დავითაშვილი**, ანანიასას—**კ. მესხი**, ოთარბეგისას—**ვ. გუნია**, სულეიმან-ხანისას—**ვ. შალიკაშვილი**.

მონაწილეობას მიიღებს მთელი ამხანაგობა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი**.

ორშაბათს 18 მაისს, ვერაზე **„ედემი"-ს** ბაღში **კნეინა მარიამ დავითის ასული ჭავჭავაძისა** ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების **სამუსიკო სკოლის** სასარგებლოდ გამართავს

„მაისობა-არიფანა"-ს

რადგან ყველა სანოვაგე შემომწირველთაგან შინვე დამზადებული—ფასები უფრო ნაკლებია, ვიდრე რესტორანებში, სასმელების ფასიც ზომიერია. იმღერებს ფილარმონიულ საზოგადოების **მომღერალთა გუნდი**, დაუკრავს სამხედრო მუსიკა, საზანდარი და დუდუკი. გამართულ იქნება პატარა ლატარია-ალეგრი, ნიშანში თოფის სროლა, „პტი-შვო" და სხვა და სხვა გასართობი. ცეკვა ქართული და ევროპიული. მსურველთათვის ერევნის მოედნიდან ივლიან **ავტომობილები**. ბაღი და ბუფეტი ღია იქნება შუადღის 1 საათიდან. სურვილისამებრ ცალ-ცალკე სუფრა იქნება გაშლილი და საერთოც.

ბაღში შესვლის ფასი 30 კაპ., ხოლო ბავშვებისა და მოწაფეთათვის 15 კაპ.

ბილეთები იყიდება მასპინძელთან კნ. მ. დ. ჭავჭავაძესთან (გრიბოედოვის ქუჩა. № 10), სამუსიკო სკოლაში (ჭავჭავაძის ქუჩა, № 4) და „მაისობა-არიფანა"-ს დღეს ბაღის კარებში. (5—უ.—3)

სავაჭრო-სამრ. ამხანაგობა „იალღუზი"

აცხადებს, რომ ამ თვის 14 რიცხვს, შუა დღეს, გაიხსნება ამ ამხანაგობის ახალი რესტორანი სახელად

ამმა

გოლოვინის პრ. სახლი არამიანცისა, არტ. საზ. გვერდით.

(2—2) **ამხ—ბის გამგეობა.**

სტამბა „შრომის" ამხანაგობამ

ქართულად გამოსცა **გიოტეს** უკვდავი ქმნილება

ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანიშვილისა.

წიგნი შეიცავს 486 გვერდსა მოზდილი ფორმატისას და ღირს 1 მან, 25 კ. ვინც ხუთზე მეტს დაიბარებს თითო წიგნი დაეთმობა მანეთად. წიგნის საწყობია „შრომის" სტამბაში.

ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію Болквадзе. (10—ნ.—3)

მიიღება ხელის მოწერა

დუტუ მეგრელის ნაწერებზე

ორ წიგნად: 1) **ლექსები**, 2) **მოთხრობები.**

თითო წიგნი იქნება ჩვეულებრივ ფორმატის 250—300 გვერდამდის და ეღირება (ორივე წიგნი) ხელის მომწერთათვის, ვინც ამ მაისის განმავლობაში გამოიწერს, ერთი მანეთი. წიგნების გამოსვლის შემდეგ, თუ დარჩა გასასყიდად, ფასი გადიდებული იქნება. ფული უნდა გამოიგზავნოს „დროების" რედაქციის სახელზე ტფილისში ან გადაეცეს წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში ბ. მიო ქურუკაშვილს. ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება ბ. თედო მთავრიშვილთან.

ავტორი-გამომცემელი სთხოვს თანამგრძნობთ,

საქმის დასაჩქარებლად, მიიღონ თავისს თავზე ნაცნობთა შორის ხელის მოწერის გამართვა და შეკრებილი ფული, რაც შეიძლება მალე, ხელის მომწერთა სიასთან ერთად გამოგზავნონ აღნიშნულ ადრესით. ხელის მოწერით შემოსულ ფულის რაოდენობა გამოცხადდება ხოლმე გაზეთ „დროება"-ში. გამოცემის სრული ანგარიში და ხელის მომწერთა სია კი ერთ-ერთ გამოცემულ წიგნში. (10—უ.—2)

ექიმები კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—144)

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში **მ. წერეთელი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი **მ. ნ. მელიქიშვილი**

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (75—76)

ექიმი **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი **ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლღას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი **ა. დიასამიძე**

სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში" ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2¼—4 ს.

კალამქაროვი—საშ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 10½—11½ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 11½—12½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი —კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—37)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ—8)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—59)

ტფილისის სათ.-აზნაურო გიმნაზიის

მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში (8-9 წლის ყმაწვილებისათვის) **მისაღები ეგზამენები** იქნება 21 და 22 მაისს, ხოლო მათი მიღების საქმე გადაწყდება აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

აგვისტოს ბოლო რიცხვებშიაც იქნება ყმაწვილების გამოცდა ამავე განყოფილებაში მისაღებად და აგრეთვე იმ გიმნაზიურს კლასებში, რომლებშიაც აღმოჩნდება თავისუფალი ადგილები. თუ რომელ კლასში იქნება ადგილები და რა დროს მოხდება გამოცდა—თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

თხოვნები გიმნაზიის კანცელარიაში მიიღება. (3—ნ.—3)

ტფილისი, 14 მაისი

კამათი ჩვეულებრივ სადავო საგნის ყოველმხრივ გამორკვევას უწყობს ხელს, მაგრამ ზოგჯერ მოკამათენი იმდენად დაჰშორდებიან ხოლმე ძირითად საკამათო საგანს, რომ მკითხველის ყურადღება ისეთ წვრილმანებზე ხურდავდება, რომელთაც თავის თავად არსებითი მნიშვნელობა არ აქვთ. კამათის ამ გვარს დაწვრილმანებას პრესსა ყოველთვის უნდა ერიდოს, მაგრამ არა იმ აზრით, რომ გამუდმებით მარტო ოდენ ძირითად პრინციპიალურ საგნებზე მსჯელობდეს, არამედ იმ აზრით, რომ ყოველთვის ეცადოს, მკითხველის გულისყურს ძირითადი საგანი არ გამოეპაროს და წვრილმანებში არ ამოილესოს.

ამ სახელმძღვანელო აზრის თანახმად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ის საკითხი, რომელსაც ასე ძლიერ აჰკრეს ფეხს ჩვენთან კამათის დროს გაზეთი „ივერია" დამატებითი ხასიათის საკითხია. „ივერია" განმეორებით გვისაყვედურებს, სცდებით, ვითომ ქართველ მოღვაწეთა ხელთ არ იყოს ეროვნულ იდეალების განხორციელებაო. განმარტოვებით რომ განვიხილოთ, რა თქმა უნდა, შეუწყნარებელია ამ აზრის პროპაგანდა ქართულ პრესსის საშუალებით, რადგან იგი კვიეტიზმის ქადაგებაა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა კარგად უწყიან, ამ გვარ კვიეტიზმთან ჩვენ არაფერი არა გვაქვს საერთო, პირიქით ყოველთვის თავგამოდებით ვებრძვით მას და, რამდენადაც კი შესაძლებელია, ვცდილობთ გავაქარწყლოთ ეს უნიადაგო პესსიმიზმი. არც „ივერიასთან" კამათის დროს გამოგვითქვამს ის შეხედულება, ვითომც ქართველ მოღვაწეები ეროვნულ იდეალებისთვის მუშაობას უნდა გამოეთხოვონ, რადგან ამ მიზნის მიღწევა მათ ხელთ არ არისო. ჩვენი წერილების ის ადგილები, რომელსაც გაზეთი „ივერია" აჰკრეს ფეხს, სულ სხვა აზრით და სხვა განზრახვით იყო დაწერილი. საჭიროდ მიგვაჩნია მოვაგონოთ ერთის მხრივ მკითხველებს, ხოლო მეორეს მხრივ კი გაზეთს „ივერიას", რა აზრი ჰქონდა ჩვენს რეპლიკას ამის შესახებ.

„ივერია" ერთ-ერთს თავის წინანდელს ნომერში სცდილობდა დაესაბუთებინა უნიადაგობა უკიდურეს მიმართულებისა ქართულ ცხოვრების პირობებში და ერთად ერთი შესაწყნარებლობა ზომიერ ნაციონალისტურ მიმართულებისა. ამ შეხედულების საბუთად „ივერიას"-ის მოსაზრება გამოჰქონდა, რომ სოციალისმის და სხვა უკიდურეს ხასიათის იდეალების განხორციელება ქართველ მოღვაწეების ხელთ არ არისო. ამ მოსაზრების ძალით „ივერია" საჭიროდ სცნობდა უკიდურეს მიმართულებისთვის ზურგს შექცევას და ზომიერების გზაზე დადგომას. ყველასთვის ცხადია, რომ ამ დასაბუთების მთავარი ძარღვი ის არის, ვითომ ის იდეალები, რომლებიც „ივერიას" ზომიერების შინაარსად მიაჩნია, ჩვენს პირობებში ქართველ მოღვაწეთ შეეძლოთ თავის სურვილისამებრ განახორციელონ. „ივერიას" ზომიერებად მიაჩნია სხვა და სხვა ეროვნულ მიზნების მისაღწევად შრომა. ნამდვილად კი ეხლანდელს პირობებში ქართველ მოღვაწეებს ზომიერების და მშვიდობიანობის ტრფიალით არც ერთ ეროვნულ მიზნის მიღწევა არ ძალუძთ; არც ერთის ზომიერ იდეალის განხორციელება ნამდვილად ჩვენს დროში მათ ხელთ არ არის. ჩვენ სწორედ ამ გარემოებაზე მივუთითეთ „ივერიას" და ჩვენის მხრივ ვურჩიეთ, ზომიერ დემოკრატიულ მიმართულების დასასაბუთებლად სხვა რამ საძირკველი მოეძებნა. როგორც მაშინვე აღვნიშნეთ, მიმართულება და იდეალი არასოდეს არ უნდა აირჩევოდეს იმის მიხედვით, თუ როდის რა შეუძლიან განახორციელონ მოღვაწეებმა; ამ საშუალებით მიმართულების გამორკვევა ნამდვილად ყოველგვარ მიმართულების უარყოფა და უპრინციპობაა. რა თქმა უნდა, ყოველთვის საჭიროა და აუცილებელი ნათლად განირჩევოდნენ ერთმანეთისაგან მიმართულება და სადღეისო პრაქტიკული მიზანი. ეს უკანასკნელი ლოგიკურად პირველიდან უნდა გამომდინარეობდეს, ხოლო იმ დროს უნდა იქმნას წინ წამოყენებული, როდესაც ამას რეალურ პირობების მიხედვით მიზან შეწონილების მოსაზრება მოითხოვს. სადღესო მიზნები ცვალებადნი არიან ისე, როგორც ცვალებადია საზოგადო ცხოვრების განსაზღვრულ პირობათა მექანიზმი; მაგრამ მიმართულებანი შედარებით მტკიცე და უცვლელი. ვიდრე რეალური პირობები ხელს არ გვიწყობენ, სისულელეა ისეთ პრაქტიკულ მიზანს შევალიოთ ჩვენი ძალღონე, რომელიც წინასწარვე ცხადია ვერ განხორციელდება. მაგრამ ამ პირობებს გავლენით რომ თვით მიმართულებას ვიცვლიდეთ ხოლმე—ეს უფრო შეუწყნარებელია. პირველი დონკიხოტობაა, მეორე უპრინციპობა. გონივრულად შეგნებული რეალიზმი ორთავეს ერთნაირად ჰგმობს, დონკიხოტობასაც და უპრინციპობასაც.

„ივერია" მუდამ რეალიზმს და ოცნებას უპირისპირებს ერთმანეთს, მაგრამ მაინც იძულებულია ბოლოს დაგვეთანხმოს, რომ ქართველ მოღვაწისთვის ეხლანდელ პირობებში ისეთი მისწრაფება, როგორც ვთქვათ ქართულ ენის შეტანა მთავრობის დაწესებულებებში ან ერობის შემოღება. ოცნებაა. „ივერია" რომ ლოგიკურ დასკვნებს გვერდს არ უქცევდეს, იგი იძულებული იქნებოდა, უკუ ეგდო ეროვნულ იდეალებისთვის შრომა, რადგან ეხლანდელ პირობებში ეს ისეთივე ოცნებაა, როგორც თუნდ სოციალისმი, მაგრამ... მაგრამ ის, რომ „ივერიამ" ან თითონ არ იცის თავის საკუთარ მიმართულების ხასიათი, ან არა ჰსურს, იგი ნამდვილის სახით დაანახოს ფართო საზოგადოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული არ იქნებოდა წინააღმდეგობათა ქსელში გაბმულიყო და ლოგიკურ დასკვნების წინაშე თვალები დაეხუჭა.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ნ. 62)

ექიმი **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში აქიმებს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს წელსა და კან შუა შესასხამ წამლით **ტუბერკულინით.** ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—ნ.—2)

ექიმი **ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—55)

ქუთაისის მთავრობის ქალთა

გიმნაზია

(რიონ-გაღმის ნაწილი, მესხთის ქ.)

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, 1, 2, 3 და მეოთხე კლასებში და ეგზამენები მოწმობების მისაღებად დაიწყება ამ წლის 15 მაისს.

ეგზამენების დაწერილებით განაწილება გამოკრულია გიმნაზიაში. (1—ნ.—1)

მარგანეცის მრეწველთა შავი-ქვის ამხანაგობის

გამგეობა იწვევს ამ ამხანაგობის წევრებს, თანახმად ამხანაგობის წესდების მე 24 მუხლისა, საზოგადო კრებაზედ, რომელიც მოხდება ს. ჭიათურაში, თეატრის დარბაზში, ოთხშაბათს, მაისის 27.

განსახილველი საგნები:

1. ამხანაგობის დამოკიდებულების მოსპობა ბერლინის მარგან-სინდიკატთან.
2. ამხანაგთა შორის საურთიერთო ანგარიშის გამორკვევა.
3. ამხანაგობის ქონების დანაწილება. (6—ნ.—3)

სოფლად

ქართლის ვითარება.

მინდა პატარა რამეებზე დავწერო, თუ მკითხველიც არ გამიჯავრდება. რასაიქ, ისეთი დროა, რომ სულ დიდრონებზე ლაპარაკი ფონს ვეღარ გაგვიყვანს და ჩვენს დღიურ ვარამს კი დაგვავიწყებს.

აი თუნდა ამინდი ავიღოთ. ეს ორი თვეა ცას ნამი არ გაუღია. დედამიწა, ხალხი, პირუტყვი ყველა გაჭირვებულია. ჭინახული გადახმა. ურწყავზე რა ვთქვა, როცა სარწყავსაც კი გაუჭირდა. მორწყეს, მაგრამ მოულოდნელმა ქარმა და მზემ ორ დღეზე ალიზივით გაახმო და უფრო ყელში წაუჭირა საწყალ ჭირნახულს. ახლად დათესილი სიმინდები წაკირულია მორწყვისაგან და ლოლო ველარ ატანს. ურწყავში კიდევ აბა თუ წვიმამ არ დაასველა, რა მოიყვანს! ყანამ ბარტყი არ აიტანა და მხოლოდ დედა ღა ხირია და ისიც ვაივაგლახით ღონღიალობს. ყანები ჯერ სულ თხელი იყო; შარშან შემოდგომაზე რაკი თოვლი ადრე მოვიდა, ორი მესამედი ხნულებისა სარწყავში მოურწყავი დარჩა, ქართლის ნიადაგი კი ისეთია, რომ გინდა ცას წვიმით პირი მოსტყდეს, თუ არ მოირწყო, არაფერი არა მოვა-რა. ჯერ სულ თხლად ამოვიდა აქა-იქ, ახლა უწვიმობით ბარტყი არ გაიკეთა და, წარმოიდგინეთ, რა უნდა იყოს. ახლა უავდრობით წყლებიც დაშრა და შემოდგომის მოურწყავი ლამის გაზაფხულზედაც ვერ მოირწყოს. რაღა უნდა მოვიდეს. მდინარე მეჯუდა, რომელიც რამდენიმე ათას დესეტინა ჭინახულს და ვენახსა რწყავს, ცვარი აღარ მოდის. გორის თავში ოთხი ჩარხი ბრუნავს ხოლმე, ეხლა ერთი ძლივს-ღა ღრიტინებს.

უწვიმრობით ბალახი სულ გასწყდა. გარეკენ მშიერ საქონელს და ისევ მშიერი მოუდით. მინდორში წყალიც არ არის, რომ საქონელმა დალიოს—მტვერმა თვალები დასთხარა. მომუშავე საქონელს ხომ ზამთარივით ისევ ბზესა და ფუჩეჩს აჭმევენ, მაგრამ არც წვრილ ფეხი საქონელი იწუნებს ბზეს. ისე ლოკავენ ბაგებს, თითქო შიგ არა ყრია-რაო. ამ უწვიმრობის გამო არც თივა მოვიდა რიგიანი და მგონი მინდვრის სათივეები—ნაწვერლები მომეტებული გაუთიბავი დარჩეს. რაკი ყანები თხელია, არც ბზე იქნება და შეიძლება შარშანწინდელი დღე დაადგეს ხალხს, რომ ფუთში ორ აბაზს იძლეოდნენ, მაგრამ საშოვარიც არ იყო,

ხალხიც მეტის-მეტად სასოწარკვეთილია. სამი წელიწადია ჭინახული აღარ მოსულა და აღარ იციან, რა ჰქნან. მუშაობა აღარ არის, ვაჭრობა დაეცა. რაკი ხალხს აღარა აბადია-რა და არა აქვს რა გასასყიდი, ვაჭარი და ხელოსანიც დაიმშა. გორში, მაგალითად, ამოდენა ხელოსანი ხალხი ძალზე გაჭირვებულია. დურგლები და კალატოზები, მეაგურეები და მეკრამიტეები დიდის სიამოვნებით საბარავად და სათოხნავად წავლენ, თუ კი ვინმე წაიყვანს. მაგრამ მუშაობაში გამოჯეკილი სოფლელი ექვს შაურად გეხვეწება ამ გალალია დღეს და იმ მუჩეველს ვინ წაიყვანს! ამიტომ არის, რომ სოფლების მოსავალს ქალაქის მცხოვრებნი უფრო გაფაციცებით კითხულობენ და თუ გაიგონეს, რომ კარგი პირი უჩანსო, სიხარულით ცას ეწევიან და პირჯვრის წერით ღმერთს მადლობასა სწირავენ, ხოლო თუ გაიგონეს, რომ ცუდად

არის საქმეო, წლები სწყდებათ. ასე თანაბარი გაჭირვებაა ყველგან. სოფელში და ქალაქ ალაგას მუდამ დღე „ლაზარეს“ სიმღერა ისმის, ბავშვები, დედაკაცები დაათრევენ კარის-კარს ტალახისაგან გაკეთებულ ლაზარეს და სამღთოსთვის ფულსა და ხორბალს აგროვებენ. ბევრგან კიდეც გადიხადეს სამღვთო, მაგრამ არა გამოვიდა-რა. მართალია, სამი დღეა ზენა ქარი ჰქრის და დაჰღრუბლა კიდეც, მაგრამ ისეთი საშინელი ქარია და ისე ცივა, რომ ზამთარი გეგონება: რაც ღრუბლები იყო, მიფანტ-მოფანტა. სდგას სასოწარკვეთილი ხალხი და შესცქერის ცას.

ვენახებიც ვერ არის კარგი. დამარხული ვაზი ძალიან ნაკლებად გამოვიდა. რაკი დიდი ზამთარი იყო, კვირტი მოალპო, იძახის ხალხი. მერე ახლა ნაალდგომევს რთვილი გაავდო და რაც ადრე გამოსული იყო, მაგალითად, ბუდეშური და შავი, წაახდინა. იმაზე ადრე მოსულმა თოვლმა და ყინვამ ხომ ისე წაახდინა კაკლები, რომ ბაზმას ვეღარ აანთებენ. გადარჩა ხიდისთავი, სადაც ჰავა კახეთისას წააგავს და რთვილი და ყინვა ვაზსა და ხეხილს ვერაფერს აკლებს. „ეჰ“—იძახის ხალხი,—ვენახი ჩვენსკენ მოგონილია, ტყუილად ვამაგობთ: როცა არ მოდის, არ მოდისო“! ძვირფასი ჯიშის ხეხილიც (ვაშლი და მსხალი) ძალიან წაახდინა. მე მგონი, ჯერ ბაღების პატრონებს ისევ იმედი აქვთ, რაკი ძალიან იყვავილა ესხმებაო, მაგრამ როცა ამ ქარების შემდეგ გასინჯავენ, შეატყობენ, რომ იმის მესამედიც არ ასხია, რის იმედიც ჰქონდათ. ზოგი და ზოგი ჯიში ხომ მთლად მოისპო.

ამას გარდა, ერთი სენიც გაუჩნდა აქაურ ხილის ბაღებს, რომელმაც ეს ორი წელიწადია მთლად გაანადგურა მოსავალი. მე მოგახსენებთ ბუხუნძელაზე. ერთნაირი პატარა თეთრი პეპელაა ზაფხულში ვაშლის ფოთლებზე სდებს რამდენსამე ას კვერცხს და ზედა ჯდება. სამი დღის შემდეგ ამ კვერცხებიდან გამოიჩეკებიან პატარა ჭიები და დაუწყებენ ფოთოლს ჭამას. ჯერ სულ ნაზ ნაწილებს სჭამენ და აცხავებენ ფოთოლს, თან თეთრ აბლაბუდას იხვევენ ირგვლივ, რომ ძირს არ ჩამოცვივდნენ და მზე-წვიმისაგან დაიფარონ თავი. თუ რამდენ ფოთოლს შესჭამენ, ეს ამინდზეა დამოკიდებული. თუ წვიმიანი ამინდია, ბევრს ვერაფერს გაიხარებენ და თუ გვალვაა — გაგიხარიან ესენი ნავნებს იზამენ. ფოთოლს გარდა უკვე მოსულ მწიფე მხალსა და ვაშლსაც სჭამენ გარეთ ქერქს და აფუჭებენ. საზამთროდ თავისავე გამოხრულ ფოთლებს ახვევენ ამ მაგარ თეთრ ქსელში, თვითონაც შიგ რჩებიან, მაღლა ხის კენწეროზე ამაგრებენ და გაზაფხულამდე ასე რჩებიან. გაზაფხულზე როცა გათბება, გამოდიან და შეესევიან ახლად გაშლილ ფოთოლს. ისე გაროკნიან მოსხმულ ხეს, რომ ნახო, ასე გეგონება, გამხმარიაო. რასაკვირველია, ამისთანა ხე არც იმ წელიწადს მისცემს რაიმე პატრონს და არც მეორეს, რადგან უფოთლოდ ხე ვერ იმუშავებს და ვერც სახილე კვირტს გაიკეთებს, რადგან მთელ ძალას ახალ ფოთლების გამოტანას ანდომებს.

ეს ორი წელიწადია, ვისაც რკინის გზით უმოგზაურნია, ან ეტლით დიდ სოფლებში, შენიშნავდა, როგორ საცოდავად გამოიყურებიან გაკორტნილი ხეები. რაკი ხის ფოთლი აღარ ჰყოფნით ახლა ბალახს ეხვევიან. ამისთანა ბალახს ან ხეხილს რომ ხელი მოსჭიდო და მერე ტიტველ კანზე წაისვა, ისე დაგსუსხავს ისეთ ლუდლუდს დააყრის, სამ დღეს გეწვის, ცეცხლი გიკიდია.

ამისი წამალი სულ ადვილია, მაგრამ დაუდევრები ვართ: გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე უნდა სათითაოდ ყველაზე გაიხილოს სადაც ამისთანა შეხვეული ბუხუნძელა ჰკიდია, მოგროვდეს და დაიწვას. მოგროვდეს აგრეთვე რაც ხეებ ქვეშ ფოთოლია და ისიც დაიწვას, თორემ ხეებს გაჰხილავს იმედი გაქვს, აღარაფერი გაჩნდება, მაგრამ ჰხედავ, ხეებს ისევ შეჰხვევია საიდანღაც, მოდი და აგროვე თითო-თითოდ. უეჭველია, ქარმა ჩამოაგდო რამდენიმე ამისთანა ბუდე სხვა ფოთლებთან ერთად და ზამთარი მიწაზედ გაატარა; როცა გათბა, გაიღვიძეს, იარეს და აცოცდნენ ხეზე. ამ ხის ქვეშ ნაყარი ფოთოლი რომ მოგროვილიყო და დამწვარიყო, უეჭველია, ეს ბუხუნძელები აღარ იქნებოდნენ. სხვა წამალიც აქვს, მაგრამ ამისთანა ადვილი და იაფი არც ერთი არ არის. კარგია პარიზის სიოხე.. ხალხი იძახის. ტყვიავში ოც-და-ხუთი მანეთს ჯარიმაა, ვინც არ გახილავს თავის ბაღსაო და აქ კი იმდენი მოთავე არავინ არის, აჩვენოს და აუხსნას გახილვის სარგებლობა. ქართლი ისე დავიწყებული სამეურნეო საზოგადოებისა და მთავრობისაგან, თითქო ეს მხარე სადმე ჩინეთში იყოს: არც ინსტრუქტორი, არც რა საცდელი მინდვრები და არც არა საწყობები. ვართ, როგორც ათასი წლის წინად, ისე რომ ვიყოთ, კიდევ რა გვიჭირდა.

სხვად კი დავიწყებულები არა ვართ, ძალიან გვიფრთხილდებიან, ცივ ნიავს არ გვაკარებენ. ღამე და დღე ათი კაცი ჰყარაულობს სოფლის შარა გზას, რომ გაიგოს, როდის მოვა მამასახლისი ან ბოქაული. თუ არ დაჰხვდნენ დანიშნულ ალაგას, ვაი იმათ ტყავს! ჩვეულებრივ „ალერსის“ გარდა, ამათ სამ-სამი დღით ვირის აბანო და მერე თითო მანეთი ჯარიმა მოელით. საკვირველი ის არის, რომ რომელიც თავის ადგილას დაჰხვდება, იმასაც კარგ დღეს არ დღეს არ აყრიან—რატომ შენი ამხანაგებიც აქ არ არიანო. ეს ძალიან გამოსარჩენი მოგონება იყო სტრაჟნიკ-მამასახლისებისათვის. ისეთ ცივ და თოვლიან ღამეში დაუსხმოდნენ ხოლმე უცებ თავზე, რომ თვით ეშმაკიც ვერ გასძლებდა კარში, ხოლო მეცხვარის ძაღლი კი ფარეხის კარს ეკვროდა, და აბა რა გასაკვირველია, თუ რომელიმე ყარაული ბოსლის დერეფანს ან საბძლის ყუდროს შეაფარებს თავს ნაშუაღამის დროს! უნდა უეჭველად შუა გზაზე მდგარიყავიო. ერთი თუ ორი. მერე ბოსელში გამომწყვდევა და ათი კაცისაგან ათი მანეთი, ახლა სხვა სოფელს და კაი ფული იკრიბებოდა. საინტერესოა, ამ ფულს ჯიბეში იდებდნენ თუ შემოსავლის დავთრებში სწერდნენ?!

კიდევ კარგი, რომ ახალმა მაზრის უფროსმა ეს ღვთის რისხვა სტრაჟნიკ-ოსი მამასახლისები მოგვაშორა. გული გაგვიკეთდა, მაგრამ ვაი თუ ახლებმა ძველების გზა აირჩიონ.

რომ ვთქვათ, ამ ყარაულებისაგან სოფელს არაფერი არ ემატება. ქურდობა და ავაზაკობა ისევ ისეა და ყარაულები რა საჭირონი არიან. კარგი იქნება მაზრის უფროსმა ბრძანება გასცეს, რომ დღე მაინც აღარ მოაცდინონ ხალხი და ტყუილად შარაზე არ აღამებინონ, თორემ „თქვე დალოცვილო, ავ-კაცს და ყაჩაღს, შეიარაღებულს, ცარიელ ხელით რა უნდა ვუყოთ, დავიჭიროთ თუ რას ვუზამთო“, იძახიან საწყლები. მერე ეხლა, როცა გლეხ-კაცისთვის თითო საათიც ძვირფასია, ამოდენა ხალხის მოცდენა დიდი უსამართლობაა.

ბოცოცა.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

კანონ-პროექტი სტაროობრედცების შესახებ.

12 მაისს დილის სხდომაზე სათათბიროს წარედგინა კანონ-პროექტი სტაროობრიადცების შესახებ. როგორც ვიცით, სტაროობრიადცებს, 17 ოქტომბრის მანიფესტის მიუხედავად, სინიდისის თავისუფლება ძალზე შეზღუდული აქვთ. სამინისტროს შეუმუშავებია კანონ-პროექტი, რომლითაც სტაროობრიადცებს საგრძნობელი თავისუფლება ეძლევათ, თუმცა სინიდისის თავისუფლებამდე კიდევ შორს არის. კომისიას განუხილავს კანონ-პროექტი და ზოგიერთი ცვლილება შეუტანია. კომისიას საჭიროდ უცვნია ჩაემატოს მუხლი, რომელიც სტაროობრიადცებს თავიანთ სარწმუნოების პროპაგანდის ნება უნდა მიეცეთ. ამას გარდა სასულიერო პირებს ნება უნდა მიეცეთ იწოდებოდნენ მღვდელ მსახურებად; სასულიერო პირნი უნდა განთავისუფლდნენ სამხედრო ბეგრისაგან და სხვა.

ამ ცვლილებებმა დიდად აალელვა მემარჯვენენი. საზოგადოდ კანონ-პროექტი დიდად საყურადღებოა და კიდეც ამიტომ 85 ორატორი ჩაეწერა. პირველად უკმაყოფილება განაცხადა სათათბიროს იმ კომისიის წარმომადგენელმა, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეების გამოა შემდგარი. იმის აზრით, რუსეთში მართლმადიდებლობა ბატონი და მბრძანებელი უნდა იყოს. სტაროობრიადცების გათანასწორება მართლმადიდებლებთან შეუძლებელია, ეს ეკლესიის დამცირება იქნებაო და სხვა.

თითქმის ესევე განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, რომელიც მთავრობის კანონ-პროექტს იცავდა და ამბობდა, სტაროობრიადცებს იმაზე მეტი არ უნდა მივცეთ, რაც ამ კანონ-პროექტშიაო.

საინტერესო იყო ოქტომბრისტების ორატორის კამენსკის სიტყვა, საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ იგი, ოქტომბრისტი, ფრაქციის სახელით პირდაპირ და გადაჭრით მიუდგა იმ ცვლილებებს, რომელიც კომისიამ შეიტანა კანონ-პროექტში, ესე იგი სამინისტროს წინააღმდეგ წავიდა.

ზომიერი მემარჯვენენი, ნაციონალისტები და უკიდურესი მემარჯვენენი, რასაკვირველია, წინააღმდეგნი იყვნენ ცვლილებებისა. ამათ მხრივ ილაპარაკეს პურიშკევიჩმა და სხვებმა.

ამ კანონ-პროექტის განხილვა კარგა ხანს გასტანს, რადგან, როგორც ვთქვით, 85 ორატორი ჩაეწერა.

შეკითხვები.

საღამოს სხდომაზე სათათბირომ მოისმინა ორი შეკითხვა: ერთი შეიტანა სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ და შეიცავდა ცხრამეტ დაბეჭდილ გვერდს, ხოლო მეორე—ოპოზიციის 39 წევრმა. პირველი შეკითხვა შეეხება ტუსაღებს. აღნიშნულია საძაგელი პირობები საპატიმროებში, ადმინისტრაციის ძალ-მომრეობა, ანტისანიტარული პირობები. ამის მეტს ამ შეკითხვაზე დეპეშა არას გადმოგვცემს. შეკითხვის გამო ულაპარაკნია პოკროვსკის.

სათათბირომ სასწრაფოდ არა სცნო ეს შეკითხვა და კომისიას გადასცა.

მეორე შეკითხვა შეეხებოდა ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მოქმედებას. შეკითხვაში ჩამოთვლილია თურმე ყველა ის საზიზღრობა, რაც ამ კავშირს ჩაუდენია. აღნიშნულია ისიც, რომ კავშირი დაახლოვებულია საიდუმლო პოლიციასთან, იმასთან ერთად მოქმედებს; რომ კავშირის მეთაურებმა მონაწილეობა მიიღეს გერცენშტეინისა და იოლოსის მკვლელობაში, განიზრახეს ვიტტესა და მილიუკოვის მოკვლა და სხვა.

ილაპარაკა მაკლაკოვმა. მაგრამ დეპეშაში ორიოდე სიტყვით არის გადმოცემული იმის ნალაპარაკევი. სამაგიეროდ დაწვრილებით გადმოგვცემენ მემარჯვენის ზამისლოვსკის სიტყვას, რომელმაც შეკითხვის წინააღმდეგ ილაპარაკა. ნეკრასოვსა და მილიუკოვს მემარჯვენეებმა ლაპარაკი არც-კი დააცალეს, ყვიროდნენ, ჰყიოდნენ, პურიშკევიჩი და მარკოვი ქუჩურად ილანძღებოდნენ.

სათათბირომ, ოქტომბრისტების წინადადებით, დაადგინა, გადასცეს შეკითხვა კომისიას და დაუნიშნოს სამი დღის ვადა თავის აზრის წარმოსადგენად.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მაისი

ოსმალეთი

სტამბოლი. ბოლგარიის სავაჭრო საქმეთა მინისტრი ლიაპჩევი წავიდა სტამბოლიდან. წასვლის წინ ლიაპჩევმა ოსმალეთის მთავრობას აღმოსავლეთ რკინის გზების შესახებ ნოტით მიმართა.

სალონიკი. აბდულ-ჰამიდს ნება მისცეს ისეირნოს ალანტინის ბაღში, იკითხოს გაზეთები და გასაუბროს მოდარაჯე ოფიცრებს. [illegible] პირი, რომელიც უკანასკნელ ამბებში დიდ როლს თამაშობდა, ირწმუნება, რომ აბდულ-ჰამიდს უცხოეთის ბანკებში ერთი მილიონი ლირა აქვსო. აბდულ-ჰამიდი ამ ფულს საჩუქრად მისცემს მხოლოდ მეორე და მესამე კორპუსებს. სწორედ იმიტომ მოვიდა სალონიკს 30 აპრილს მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა.

სტამბოლი. პრესსამ საზოგადოდ კარგის თვალით შეჰხედა სამინისტროს პროგრამმას. პროგრამმას დიდის ქებით იხსენიებენ „ტიურკი“, და „ოსმანიშ-ლლოიდი“. „ტანინის“ აზრით სამინისტროს მიერ გამოცხადებული ზომები წესიერების აღსადგენად და დასაცველად მტკიცე ვერ არის. გაზეთი სწუხს, რომ სამინისტრომ მინისტრების ამხანაგების შესახებ კანონ-პროექტი ვერ შეიტანა.

აქ მოიყვანეს, როგორც ბრალდებული იუსუფ-ფაშა და გამოჰკითხეს. იუსუფ-ფაშა ერზერუმის ჯარის უფროსად იყო.

სარწმუნო წყაროდან იწმუნებიან, რომ სანამ სამინისტრო პალატაში თავის პროგრამას შეიტანდა, სამინისტრო და ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი დროებით შეთანხმდნენო. სამინისტრო დასთანხმდა, რომ მინისტრების ამხანაგების შესახებ კანონ-პროექტს შემოვიტანო. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა კი დახმარება აღუთქვა, თუ მაჰმუდ-შევკეთ-ფაშას სტამბოლის ჯარის უფროსად დასტოვებდნენ. სამინისტრო დასთანხმდა. ეს იყო მიზეზი, რომ მაჰმუდ-შევკეთ-ფაშას წასვლა გადაიდო.

იპეკიდან იუწყებიან: ჯევად-ფაშა ხუთი ბატალიონით და ოთხი ბატარეით ალბანელების პროვინციებში დადის, ამყარებს წესიერებას, ატუსაღებს რეაქციონერების მეთაურებს და მცხოვრებთ იარაღს ართმევს.

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, რომ რუსეთის ელჩად სტამბოლში დაინიშნოს ზინოვიევის მაგიერ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ჩარიკოვი.

„ტანინი“ სწერს, რომ თუ სახელ-

ფელეტონი

თვით-მპყრობელობის ნანგრევები

(წერილი ოსმალეთიდან).

აბდულ-ჰამიდსაც გაუფრინდა დროება.

გუშინდელი ყოვლის შემძლე სულთანი, რომლის შიშითაც მთელი ოსმალეთი ცახცახებდა, დღეს სალონიკის, მოშორებით ებრაელ ალლატინის ვილაში დამწყვდეული ტყვეა. სასტიკი, გულქვა მბრძანებელი, რომელმაც თავის ხელით მოჰკლა ღვიძლი ვაჟი და ქალიშვილი, რომელსაც სასიკვდილოდ დაჭრილის უკანასკნელი ბორგვა სიხარულის ჟრუანტელს ჰგვრიდა, ეს გულქვა ადამიანი შემოდგომის ფოთოლივით თრთოდა და კანკალებდა სამის მშვიდობიან დეპუტატის წინ, როდესაც მას ტახტიდან გადაყენება გამოუცხადეს. „ნუ მომკლავთ“. ემუდარებოდა იგი დეპუტატებს და მათ დიდი ცდა დასჭირდათ ცოტად მაინც დაერწმუნებინათ, რომ არავინ მოჰკლავდა. სახელმწიფო საქმეებს მოშორებული, ეხლა ის თურმე თავს ირთობს კატებითა და ძაღლებით, რომლებიც მისის თხოვნისამებრ უხვად ჩაჰგვარეს ილდიზიდან.

რეაქციის მთავარი ნავთსადგური ილდიზი და იქ დაგროვილი ოქრო, რომლის საშუალებითაც უმთავრესად იკოჭავეს რეაქციონერებმა 31 მარტს, სახელმწიფოდ ჩაირიცხა. გადაწყვეტილია, ილდიზი ეროვნულ მუზეუმად გადააქციონ. ბოსფორის ლურჯად მოკამკამე წყლის ნაპირად, მცენარეულობის ზღვაში ჩაფლული, ილდიზი ღირსეული ძეგლი იქნება ოსმალეთის განთავისუფლებისა. თავის აუარებელ შენობებით, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან განსაცვიფრებელ სილამაზით და გემოვნებით, ის მთელ ქალაქს წარმოადგენს. გარს საჟენ ნახევარი სიმაღლე გალავანი ავლია. აქ ნაპოვნი სიმდიდრე იმდენად დიდია, რომ პარლამენტის ორი კომისია მუდმივ მუშაობს ამ სიმდიდრის სიის შესადგენად, მაგრამ ახალ-ახალ აღმოჩენებს ბოლო არ უჩანს. უკანასკნელის ცნობებით, ნაპოვნი ფული აღემატება 200 მილიონ მანეთს, ხოლო ნაპოვნ ძვირფას ქვების ღირებულება—40 მილიონ მანეთს.

აქვე იპოვნეს უკანასკნელ 30 წლის დიპლომატიური მიწერ-მოწერა და სხვა წერილები. ამ წერილებში შესანიშნავია „ლიბერალურ კავშირის“ (ახრარის) ბელადის ალი-კემალ-ბეის წერილები, რომლიდანაც სჩანს, რომ იგი ჯერ კიდევ პარიზიდან, ახალგაზდა ოსმალთა წრეში ყოფნის დროს, ჯაშუშობას ეწეოდა. ყველა ეს თუმცა ძალიან მიმალული იყო, მაგრამ კომისიას უჩვენა სულთნის გულის მესაიდუმლემ და საჭურისთა უფროსმა ნადირაღამ.

დიდი სილაჩრე და სულმდაბლობა გამოიჩინეს რეაქციონერებმა. საიდ-ფაშამ სულთანი გასცა, სულთანმა კიდევ ყველა თავის ერთგული. დანარჩენებმა ხომ, ვისი ან რის გაცემაც კი შეიძლებოდა, გასცეს. ამის გამო, ვისაც რამე შორეული დამოკიდებულება ჰქონდა მათთან, ყველა დაიღუპა. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, სამხედრო სასამართლოს ჩაუვარდა ხელში.

ზოგიერთები, ვისაც ოსმალეთის უკეთესი მომავალი არა სწამს და არც უნდა სწამდეს, რადგან ეს მათთვის საზარალოა, ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ. პროვინციები რეაქციას დაუჭერენ მხარსაო, მაგრამ ესეც დაშორებულია სიმართლეს. კონტრ-რევოლიუციის პირველ დღესვე ყველა პროვინციამ სთქვა თავისი სიტყვა და სთქვა ახალგაზდა ოსმალთა და პროგრესის სასარგებლოდ. მართალია, ზოგიერთ პროვინციაში ცოტა აღელვება მოხდა და ადანაში სომხებს დაუწყეს ჟლეტა, მაგრამ ყველა ეს სტამბოლიდან გაქცეულ რეაქციონერების გამოწვეული, მათის აგიტაციის შედეგი იყო. კონტრ-რევოლიუციის ეს უკანასკნელი კონვულსიებიც მალე მისწყდა და ოსმალეთის საერთო დღესასწაულს აღარაფერი არა ჩრდილავს. ნამდვილ მდგომარეობის გაგების შემდეგ, ხალხი ყველგან სინანულს აცხადებს.

სტამბოლის და სხვა ქალაქების მაჰმადიანების საშუალო კლასი უმთავრესი სიმაგრეა პროგრესისტებისა. ამ კლასიდან არიან გამოსული, როგორც თავისუფლების გმირი ახალგაზდა აფიცრობა, ისე ჯერ კიდევ ნორჩი ქვეყნის სათავეში მდგომი ოსმალური ინტელიგენცია. რაც შეეხება უფრო დაბალ წრეს, რომელიც ოსმალეთის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს, იგი საზოგადოდ ძალიან პასსიურ როლს თამაშობს. მაგრამ, სიმართლე უნდა ვთქვათ, გარდა მცირერიცხოვან ხულიგანებისა, რომელნიც ყოველთვის მზად არიან ყოველგვარ, მათთვის სასარგებლო, ცარცვა-გლეჯას შეუწყონ ხელი, ამ დაბალ ხალხის თანაგრძნობაც პროგრესისტებისკენ იყო და არის. ძალიან საგულისხმიეროა ის დიდმნიშვნელოვანი დუმილი, რომლითაც ეს დაბალი ხალხი შეეგება 31 მარტის კონტრ-რევოლიუციას, თუმცა ეს კონტრ-რევოლიუცია შარიათის დროშის ქვეშ გამოვიდა. ეს დუმილი ძალიან განირჩეოდა იმ გულწრფელ აღტაცებისაგან, რომლითაც ესევე ხალხი ახალგაზდა ოსმალთა გამარჯვებას და ახალ სულთნის ტახტზე ასვლას შეეგებნენ. მათ იმდენი ტანჯვა და დამცირება გამოიარეს აბდულ-ჰამიდის რეჟიმის დროს, მოგონებანი ამაზე ისე მწარეა და ისე ცოცხალი, რომ არც შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო. ეხლაც თვალწინ მიდგია მაღალ-მაღალი ოსმალო ჯარისკაცი, რომელმაც კითხვაზე მომიგო: „ჰამიდიო, სთქვა იმან დაცინვით, ათჯერ რომ დაახრჩო, ცოტაა, იმდენი გამწარება მიაყენა ხალხსაო.“

ალბანელები, კორესპონდენტების ნაწერებიდან, სულთნის უკიდურესი მომხრენი გვეგონა ყველას, მაგრამ მათმა თავისუფალმა მეომრებმა წაუშლელი კვალი დასტოვეს ოსმალის თავისუფლების ისტორიაში სტამბოლის აღების დღეს. დღესაც აქ ხელიდან ხელში გადადის სურათი სამოცი წლის მოხუც ალბანისა, რომელიც ალბანიიდან დაფიცებული წამოვიდა, მოეკლა თავისი შვილი სულთნის მიდგომისთვის და თავისუფლების ღალატისთვის. როდესაც გაქცეული ალი კემალ ბეი ათინიდან ალბანიაში წასვლას აპირებდა აჯანყების გამოსაწვევად, ალბანელებმა გამოაცხადეს, მაშ ჩვენ ალბანელები არ გვერქვას, თუ ალი კემალ-ბეი რომ პირველ სოფელში შემოვა, იქვე არ დავკიდოთო.

თვით ხოჯები, რომელთაც აბდულ-ჰამიდი ძველი რეჟიმის დროს ჰინქველებივით ჰყრიდა მარმარილოს ზღვაში, მიუხედავად თავიანთ ფანატიზმისა, არა დროს არ შეურიგდებოდნენ ძველი რეჟიმის დაბრუნებას და სწორედ იმიტომ, რომ ისინი მიემხროთ, ახრარები ლიბერალურ დროშის ქვეშ გამოდიოდნენ. მართალია, მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს 31 მარტის ამბებში, მაგრამ მაშინ ხომ მათი ბოროტი დემონი მურად-ბეი ქვეყანას არწმუნებდა, კონსტიტუციას ბუზიც არ აუფრინდებაო. შორს გამჭვრეტელმა ნაწილმა ხოჯებისამ თითქო იგრძნო, რაშიაც იყო საქმე და არ მიუდგა 31 მარტის მოძრაობას, მაგრამ დანარჩენნი, თავიანთ პოლიტიკურ გამოუცდელობით, სათამაშონი გახდნენ ავანტიურისტების ხელში. დაუჯერებელია, ჯარსაც სცოდნოდა ახრარების სულის კვეთება. როგორც წინა წერილებშიც აღვნიშნე, coup d'Etas, შემდეგ ისინი განაგრძობდნენ ჯარის და ხალხის მოტყუილებას—„ნამდვილი კონსტიტუცია ეხლა ვიშოვეთო“. თვით აქაური სომხებიც და ბერძნებიც, რომელნიც უზომოდ იქაჩებიან თავიანთ პოლიტიკურ შორს გამჭვრეტელობით, ვერ ასცდნენ ამ მისტიფიკაციას და ილდიზის კაცი-ჰამია რეაქციონერები დეცენტრალისტებად*) მიიჩნიეს. როგორც დავინახეთ, მათაც წილი უდევთ 31 მარტის საქმეებში და ეხლა ძალიან გაურბიან ამ უსიამოვნო მოგონებას.

საკმაოა ცოტად დააკვირდეთ პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედ ძალებს, რომ ეჭვს გარეშე დარჩეს თქვენთვის რეაქციონერების სრული განადგურება. რეაქციის მთავარი სიმაგრე აბდულ-ჰამიდი იყო და მისი აუარებელი ქონება. მისმა დაცემამ მოსპო შესაძლებლობა უკან დაბრუნებისა, ნიადაგი გამოაცალა რეაქციონერების იმედებს. ფიზიკურ დამარცხებაზე უზომოდ უფრო დიდი ამათი მორალური დამარცხებაა. ილდიზის მიწერ-მოწერამ სხვა სახელმწიფოებთან და ზოგიერთმა წერილებმა, რომლების გამოცხადებას ახალგაზდა ოსმალები ამ მოკლე ხანში აპირობენ, ეს დამარცხება გაათკეცა. ეხლა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ შიგ ოსმალეთში აღარ არსებობს ის ძალა, რომელსაც შეეძლოს თავისუფალ განახლების შეჩერება. სულთნის ჩამოგდებით ოსმალეთის რევოლიუციამ დაათავა ნგრევის საქმე. ძველი რეჟიმი სამუდამოდ წარსულს ეკუთვნის.

მიუხედავად საქმის ასეთ მდგომარეობისა, მაკედონიის ჯარი სრულიად არა ფიქრობს გამარჯვებით დაკმაყოფილებას და განცხრომას. ახალგაზდა ოსმალებს, როგორც ეტყობა, გადაწყვეტილი აქვთ სრულიად გასწმინდონ სტამბოლი საეჭვო პირებისაგან, რომ ხელშემშლელი ექსცესები შეუძლებელი გახადონ. უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს პოლიციას, რომელიც ამ ორ კვირაში სრულიად განაახლეს. საალყო წესები ჯერ კიდევ არ არის

---

*) „ჩვენ საქმე“-ში წავიკითხე გ. უ.-ს შენიშვნა, რომელშიაც ის ახრარებს ფედერალისტებს ადარებს ტაქტიკაში. უნებლიეთ გამეცინა. ეტყობა, ძალიან ღზუნჯი კაცი უნდა იყოს პატივცემული ავტორი შენიშვნისა, თორემ ილდიზის ჯაშუშებს და მათ ტაქტიკას საერთო რა უნდა ჰქონდეთ ფედერალისტებთან. ს.-დ. ტაქტიკაც რომ წითელ სულთნის ცენტრალისტურ ტაქტიკისთვის შეედარებინა, სურათი უფრო სრული იქნებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფოებმა კუნძულ კრიტოსიდან ჯარი გაიყვანეს, ოსმალეთის მთავრობამ თავისი ჯარი უნდა გაგზავნოსო.

სტამბოლი. პალატამ დაამთავრა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. პალატამ მოისმინა დიდი ვეზირის განცხადება და კანონ-პროექტი საგანგებო ბიუჯეტის შესახებ. ამ ბიუჯეტით საგანგებო ხარჯი 6,740,000 გირვანქას უდრის. ეს ფული მოხმარდება გემების აგებას და ჯარების შეიარაღებას. დიდი ვეზირის სიტყვით, ამ ხარჯს დაფარავს ის ფული, რომელიც ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინასთვის უნდა გადაიხადოს და ილდიზში აღმოჩენილი ფული. კანონ-პროექტი გადასცეს კომისიას.

სპარსეთი

რუსის ჯარის ბანაკი (თავრიზიდან). პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა ინახულა თავრიზის ენჯუმენი. ენჯუმენის წევრებმა კორესპონდენტს გადასცეს, რომ სპარსეთის კეთილდღეობისთვის საჭიროა რკინის-გზები, ქარხნები და ხალხის განათლებაო, მაგრამ იმათთვის, ვინც შაჰს ახვევია, ეს ხელსაყრელი არ არისო. ენჯუმენს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს რა შაჰისა, მაგრამ უკმაყოფილოა მისი მრჩევლებით. ენჯუმენის წევრებს კულტურის შემტანებად რუსები უნდათო, აღტაცებით ეგებებიან რუსების სპარსეთში შესვლას, და სურთ, რომ რუსების შესვლამ ამაღლოს მათი მდიდარი, მაგრამ ღარიბი სამშობლოო.

გენერალმა სნარსკიმ თავის ჯარში გამოაცხადა: რუსის ჯარი მშვიდობიან მცხოვრებთა დასაცავად მოვიდა და ყოველი სალდათი ისე უნდა მოიქცეს, რომ რუსის ჯარის სპარსეთში ყოფნა არ ემძიმებოდეთ სპარსელებს; სპარსელებმა რუსები ძვირფას სტუმრებად უნდა მიიჩნიონ, როგორც ეს ენჯუმენმა განაცხადაო. გენერალი სნარსკი სალდათებს აფრთხილებს, ქალებს ნუ შეურაცხყოფთ, კარგად მოექეცით, თორემ სპარსეთში სხვანაირად უცქერიან ამას და რუსების ჯარს მტრულის თვალით დაუწყებენ ცქერასაო.

საზღვარ-გარედ.

სინოპოლი. (რეჯიო-დე-კალაბრის პროვინცია იტალიაში) პირველ მაისს სადამთო კრება გამართა 3500 კაცმა. მათ ქალაქის თვით-მმართველობას საჭმლის დარიგება მოსთხოვეს და დაეცნენ სამ სალდათს. ერთმა სალდათმა, რომელსაც ქვა მოჰხვდა, თოფი გაისროლა. მანიფესტანტებმა იარაღი აჰყარეს სალდათს და სროლა დაუწყეს სალდათებს. სალდათებმა სროლითვე უპასუხეს. მოკვდა 3, დაიჭრა 6 მანიფესტანტი, ჯარმა წესიერება აღადგინა.

ბერლინი. ამ უკანასკნელ დროს ხმა გავრცელდა, რომ იტალიამ გერმანიის თანხმობით კრიტოსის საკითხის გადაწყვეტა მოინდომაო. ამასთან ამბობდნენ, რომ იტალიას და გერმანიას სურთ კრიტოსი საბერძნეთს გადასცენო. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ გერმანია წინანდებურად თავდაჭერილად იქცევა და ამ ჟამად ისეთი არაფერი არ გაუკეთებია, რომ კრიტოსის საბერძნეთისთვის გადასაცემად ვისმეზე რაიმე გავლენა ჰქონოდა.

ტანჟერი. მაროკოს სულთნის ჯარს და კენიტრის თემს კიდევ მოუვიდათ შეტაკება. ორივე მხარეზე არიან დაჭრილნი და მოკლულნი. ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა,

მარსელი. კერძო გემების მატროსებმა დაადგინეს, გაფიცვა იმ დრომდე განაგრძონ, სანამ გემების პატრონები მათ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენ. მოთხოვნილებანი გემებზე მუშაობის შემცირებას და მუშაობის ნების შეცვლას შეეხება.

რუსეთი

კრემენჩუგი. ოთხი შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაეცა მემამულე სემენიუკს, მთელი ოჯახის ამოწყვეტის მუქარით გაიტაცეს 1427 მანეთი და მიიმალნენ.

პეტერბურგი. სენატმა განიხილა საქმე სარატოვის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავადის უხტომსკისა, რომელმაც 1905 წელს კრებაზე თავმჯდომარეობის დროს ნება დართო შეხებოდნენ ისეთ საკითხებს, რომელიც კრების უწყებაში არ იყო მოხსენებული. სენატმა დაადგინა, საყვედური გამოუცხადონ უხტომსკის. საყვედური სამსახურის სიაში არ იქნება შეტანილი.

სენატმა განიხილა საქმე ხვალინის თავად-აზნაურთა წინამძღოლის დავიდოვისა, დამნაშავედ იცნო იგი იმაში, რომ კრების დროს ნება დართო განეხილა საკითხი ექიმ ჩენინკოვის დაბრუნების შესახებ. ჩენინკოვი გამორიცხული იყო თავად-აზნაურთა წოდებიდან. დავიდოვს საყვედური უნდა გამოეცხადოს.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატის საგანგებო საკრებულომ განიხილა საქმე პროფესორ ისაევისა და გამომცემლის ცინზერლინგისა, რომლებიც სამართალში იყვნენ მიცემულნი „რუსეთის რევოლიუციის ისტორიის" წიგნის დაბეჭდვისათვის. სასამართლომ ორივე გაამართლა.

ნოვგოროდი. 10 მაისს ღამე ორმა შეიარაღებულმა გაძარცვა მოიჯარადრე. წაიღეს ფული, ნივთები და მიიმალნენ.

პეტერბურგი. 16 მაისს დაიწყება თათბირი სახაზინო ნავთიან ადგილების შესახებ კანონ-პროექტის განსახილველად, და აგრეთვე ადგილების იჯარით გაცემის შესახებ.

დონის-როსტოვი. რადგან ნავთსადგურის მუშათა არტელმა დაარღვია პირობა იმით, რომ კვირა-უქმე დღეს მუშაობა შესწყვიტა, პურის ვაჭართა უმრავლესობამ გამოუცხადა ბირჟის კომიტეტს, რომ ნავთსადგურში მუშაობა თავისუფალია და რომ არტელთან საქმე აღარა აქვს და ყველას შეუძლიან იმუშაოს თავისუფლად.

პეტერბურგი. მაძიებელმა პოლიციამ აღმოაჩინა, რომ დიდძალი ფართლეულობაა დაკარგული რკინის გზაზე. რამდენიმე კაცია დაპატიმრებული.

რიგა. იურიევში წავიდა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი პასეკის საქმის გამო. პასეკი იურიევის უნივერსიტეტის რექტორად იყო და სამართალშია მიცემული სიყალბის ჩადენისა და უფლების გადაჭარბებისთვის.

ორიოლი. ხარკოვის სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე მასწავლებლის, სამი გიმნაზიელისა, ორი რკინის გზის მოსამსახურისა და კარჩევსკის სამოსწავლო სემინარიის სამი მოწაფისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის წევრობა. პალატამ მასწავლებელს და სემინარიის მოსწავლეს მიუსაჯა ერთი წლით დაპატიმრება, ხოლო დანარჩენები გაამართლა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **სადგურის დაწვა**. „ბაქოს" სიტყვით, 9 მაისს სულ მთლად გადამწვარა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგური მიუსიუსლი. ისეთი ძლიერი ქარი ყოფილა, რომ სადგური ერთ წუთში განადგურებულა. სადგურის მოსამსახურეებს ვერაფერი გაუწყვიათ, ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ თავიანთი ქონება გადაერჩინათ, და ყველანი მეზობელ სადგურისაკენ გაქცეულან. შენობა, სამგზავრო ბილეთები, საბუთის ქაღალდები და მოსამსახურეთა და ხაზინის ქონება სულ ნაცრად ქცეულა.

◆ **ნამესტნიკის წასვლა**. გაზეთი „რეჩი" სწერს, რომ კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს პეტერბურგში 20 მაისს ელიანო.

◆ **პიესის აკრძალვა**. „კასპს" ტფილისიდან დეპეშით ატყობინებენ: „ზუბალაშვილის სახალხო სახლში სცენის მოყვარეებს ნება არ მისცეს დაედგათ ლ. ანდრეევის პიესა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". სახალხო სახლის ადმინისტრაციამ საჩივარი აღძრა".

◆ **სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი"**. მოგვივიდა პირველი ნომერი ახლად დაარსებულ სამეურნეო ჟურნალის „მოსავლისა". ჟურნალი კარგად არის გამოცემული და შინაარსიანი სჩანს. დაწვრილებით შემდეგ გავაცნობთ.

◆ **თავად-აზნაურთა კრება**. 24 მაისს მოხდება ტფ. თავად-აზნაურთა კრება. განსახილველია სხვა და სხვა საკითხი. სხვათა შორის უნდა მოხდეს გუბერნიის მარშლის არჩევნები. როგორც ხმა დადის, თავ. ა. გ. ბაგრატიონ-დავითიშვილს გადაუწყვეტია ყუთის დადგმაზე უარი სთქვას. კანდიდატებად ასახელებენ ტფ. მაზრის წინამძღოლს თავ. პ. ი. თუმანიშვილს და გენერალ ყაზბეგს.

◆ **გადაცმული სტუდენტები**. ამას წინად ხმა დადიოდა, რომ ვიღაცეებმა, სტუდენტების ტანისამოსში გამოწყობილებმა, ქალებს შეურაცხყოფა მიაყენესო. ეხლა პოლიცმეისტერს შეუტყვია, რომ ასეთი შემთხვევა ხშირია და სასტიკად უბრძანებს ბოქაულებს და უბნის ზედამხედველთ, თვით ყური ადევნეთ ასეთ ვაჟბატონებს და ზომები მიიღონ მათ ასალაგმავადაო.

◆ **კოოპერატიული რესტორანი**. დღეს, 14 მაისს, გაიხსნება ახალი რესტორანი „ამბა" გოლოვინისკის პრ. საარტისტო საზოგადოების თეატრის გვერდით. ამ რესტორანში ლაქიები, მოსამსახურენი, შვეიცარი და ლაქიები, მებუფეტე, ერთის სიტყვით ყველანი ამხანაგები არიან.

◆ **ცეცხლი** 10 მაისს ასე საღამოს 10 საათზე ცეცხლი გაუჩნდა თავად ორბელიანის აბანოს. ცეცხლის მქრობელმა რაზმა ჩააქრო. ზარალი 6,000 მანეთის უდრის.

◆ **ხელთნაწერი**. დრამატურგი გ. ნ. სუნდუკიანცი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ სოლოლაკში დაჰკარგა „სიყვარული და ბორკილები"-ს ხელთნაწერი. მპოვნელს სთხოვს ხელთნაწერი მიიტანოს რომელიმე გაზეთის რედაქციაში.

◆ **ტყეების საქმე**. მიწად-მოქმედებისა და მეურნეობის მთავარი გამგეობა ჰგზავნის თავის მოხელეს ტფილისის გუბერნიაში ტყეების გამგეობათა სარევიზიოდ და საზოგადოთ ტყეების საქმის მოსაწესრიგებლად.

◆ **პროგიმნაზია კოოპერატიულ პრინციპზე**. ყვირილაში 10 მაისს ნოტარიუს მასალკინის თავმჯდომარეობით მოხდა მეორე კრება ყვირილის საზოგადოებისა. ამ კრებას ბ-ნმა მასალკინმა წარუდგინა პროექტი ყვირილის ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსებისა კოოპერატიულ ნიადაგზე. ამ პროექტის შედგენა პირველმა კრებამ დაავალა ბ-ნ მასალკინს. კრებამ კენჭის ყრით აირჩია სასკოლო კომიტეტი, რომელმაც უნდა დაწვრილებით შეიმუშაოს პროექტი და საზოგადო კრებას წარუდგინოს არა უგვიანეს ამ წლის თხუთხმეტ ივნისისა. კომიტეტში მოჰყვნენ: ა. ი. მასალკინი, ვ. გ. კელენჯერიძე, მღ. ანთაძე, ვაჰ. ნიორაძე, ნანეიშვილი, ი. ა. გუნცაძე, ვ. მ. გარსევაძე, ი. დ. გაფრინდაშვილი, რაფ. ჩიხლაძე, კ. ა. საყვარელიძე, გაბუნია და ილია მაღლაკელიძე. კრებააირჩია დეპუტაცია და დაავალა: 1. იშუამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე, რომ ყვირილა ქალაქად იქმნეს აღიარებული და შემოღებულ იქმნეს მარტივი თვით-მმართველობა. 2. ითხოვონ, რომ აეკრძალოთ შავი ქვის მწარმოებელთ მარგანეცის მდ. ყვირილაში რეცხა, რადგან მდინარე იქამდის უსუფთაოა, რომ მცხოვრებნი ველარ სარგებლობენ წყლით.

◆ **ახალი რკინის გზა**. მთავრობას აზრადა აქვს, ყარსიდან სარაყამიშამდე, ხოლო იქიდან ოსმალეთის საზღვრამდე რკინის გზ. გაიყვანოს. ფული უკვე გადაიდო მიმართულების გამოსარკვევად.

◆ **გიმნასტიკის კურსები**. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ინიციატივით ტფილისსა და ქუთაისში არსდება გიმნასტიკის კურსები.

◆ **სუმბათაშვილის პიესა**. გადმოითარგმნა ქართულად ალ. სუმბათაშვილის ახალი პიესა „წინამძღოლნი" «Вожди» და წარედგინა საცენზურო კომიტეტს სცენაზე წარმოსადგენად ნებართვისთვის. ქართველ არტისტთა ამხანაგობის დასი უკვე ამზადებს ამ პიესას. აზრადა აქვთ 30 მაისს წარმოადგინონ. ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია ქ-ნი დავითაშვილი, რომელიც შეასრულებს მარინას როლს.

◆ **კონცერტი**. შაბათს, 23 მაისს, ვიოლენჩელის დამკვრელი ილ. აბაშიძე ქუთაისში მართავს კონცერტს. ი. აბაშიძის გარდა მონაწილეობას მიიღებს თამარ ძნელაძე (სკრიპკა) და ბ. გოდუბკინი (როიალი).

◆ **ილიას ფონდი**. წ.-კ. საზოგადოების გამგეობამ მიიღო ილიას ფონდისთვის ნ. ჯორჯაძის და ქ—ს მიერ შეგროვილი 57 მან. და 10 კაპ.

◆ **ფრინველის გამოფენა**. 24-25 მაისს ქ. გორში, საქალაქო საკრებულოს დარბაზში, რუსეთის სასოფლო-სამეურნეო და ფრინველის მომშენებელი საზოგადოება მართავს გამოფენას. თითქმის 50 სხვა და სხვა ჯიშის შინაური ფრინველი ეყოლებათ საჩვენებლად. გამოფენილი იქნება წიწილების გამოსაჩეკი მანქანა და სხვა და სხვა წვრილმანი ნივთები და სახელმძღვანელოები.

◆ **გაზეთის დაჯარიმება**. „კასპის" სიტყვით, ბაქოს გრადონაჩალნიკის განკარგულებით 300 მანეთით დაუჯარიმებიათ „ბაკ. იზვეტ." რედაქტორი მირზოიანცი

◆ **მოხეტიალე ქალთა შეპყრობა**. მესამე პოლიციის ნაწილში გიორგიევისა და ბაზრის ქუჩებში პოლიციამ 10—11 და 12 მაისს 40-მდე მოხეტიალე ქალი შეიპყრო.

◆ **გაზეთი თელავში**. ივანე როსტომაშვილს ნება დართე გამოსცეს ტფილისში ქართული გაზეთი „თელავის ხმა"

◆ **როგორა სწამლობენ ტრამვაის მოსამსახურეებს**. ტრამვაის ერთ კონდუქტორს რუსტამოვს თვალები ასტკივნია და მიუმართავს დირექციისათვის. დირექტორს თხოვნაზე ასეთი რეზოლიუცია დაუწერია: „იწამლეთ ექიმ მუსხელაშვილთან ჩვენის სახელითა და თვით რუსტემოვის ხარჯითაო".

◆ 12 მაის პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მაზრის მცხოვრები პეტრე დოჩკინი და სპარსეთის ქვეშევრდომი ეგორ შახნაზოვი. ორთავე ტფ. საგენერალ-გუბერნატოროდან იყო გაძევებული და თავის ნებით ჩამოსულან ტფილისში.

მოწერილი ამბები

თელავი. მხოლოდ მას შეუძლიან გაითვალისწინოს თელავ-ტფილისის შორის მიმოსვლის მოუწყობლობა, ვისაც ერთხელ მაინც უმოგზაურია. კიდევ კარგი თუ უბედ არავის მოუხდა წასვლა. მაშინ უნდა კარ-და-კარ იაროს თხოვნით და ღრეჯით, რომ ბილეთი დაუთმონ და თუ არ მოხერხდა, რაც ხშირია, ერთი ხუთად დაუჯდეს ტფილისში ჩასვლა. მართალია, ბილეთი 4 მ. 50 კ. ღირს, მაგრამ ყოველ სადგურზე (ექვსია) ქუდ-მოხდილი მეეტლეები დაადგებიან მგზავრს „ნაჩაის" მისაღებად და მგზავრიც იძულებულია 10—20 კაპ. ჩაუდოს გაწვდილ ხელში. ბილეთის ფასი თელავში 4 მ. 50 კ., სიღნაღში კი იმავე მანძილზე ბევრით ნაკლებია. ეს, რასაკვირველია, თავისთავად ცხადია. სიღნაღში რამდენიმე კაცსა აქვს ომნიბუსები და მათ შორის ედიგაროვსაც, ამიტომაც იქ ეს უკანასკნელი სცდილობს გააუმჯობესოს მიმოსვლა, მაგ., ავტომობილს ატარებს, რომ მუშტარი მეტი მიიზიდოს. თელავში კი მარტო ამას აქვს ომნიბუსების მიმოსვლა მოწყობილი და კონკურენციისა არ ეშინიან. არა თუ დილიჟნები, საძნე-ურმები რომ ატაროს, მაინც იმით მოგვიხდება წასვლა. რაც შეეხება ავტომობილს, იყო დაპირება, რომ ამ გაზაფხულიდან ჩვენკენაც ეტარებინა, მაგრამ ესეც დაპირებად დარჩა.

აი, უმთავრესი მიზეზი თელავის ჩამორჩენისა. ამისათვის არის, რომ ძილშიაც კი კახეთის რკინის გზა გვესიზმრება და ცხადლივ ხომ ნიადაგ გვენატრება. ჩვენ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ამოვიკითხეთ რკინის გზის კონცესიის ამბავი, თუმცა ბევრს კიდევ არა სჯერა, რომ ჩვენი მხრისათვის სიკეთე იყოს საითმე, ვიდრე ალაზნის ველი რკინის გზის რელსებით არ დაიხლართება და პირველი ორთქლ-მავალი არ გვამცნობს კახეთის ბედნიერებას.

ვერაფერი მაისი დაგვიდგა თელაველებს. პირველ მაისს საღამოთი საშინელ ნიაღვარი მოვიდა და თან ძლიერი სეტყვა მოჰყვა. მსხვილ კაკლის-ოდენა სეტყვა თითქმის ერთი საათის განმავლობაში მოდიოდა და ჩარექზე მეტი აგდო; მეორ-მესამე დღეს ძლივს გადნა. ასეთი ნიაღვარი მოხუცებსაც კი არ ახსოვთ. თელავს საგრძნობელი ზარალი მიაყენა.

ზარალი დიდია ს. კურდღელაურშიაც. სადაც კი სეტყვა მოჰყვა, ქვა-ქვაზე არ დასტოვა. სეტყვა-ნიაღვარს თან ახლდა ქარიშხალი. ხეხილს არა თუ ფოთოლი, ტოტებიც აღარ შეარჩინა. ვენახებში მარტო ჭიგოები და ურჩხვაა. კიდევ კარგი, მარტო სოფელი დასეტყვა. გადარჩა მთელი სოფლის ბოლო. საბედნიეროდ, საღამოთი გადავდარდა. დილით რომ ყოფილიყო სეტყვა, უმსხვერპლოდ არ [illegible] ამ დროს სოფლის [illegible] ტყეში გა[illegible].

დიდი ხნის [illegible] ლია წ.-კ. საზოგადოების განყოფილების დაარსება. მის დასაარსებლად საჭირო წევრთა რიცხვი უკვე მიიღო წ.-კითხ. საზოგადოების წევრთა კრებამ 4 იანვარს, მაგრამ აქამომდე ვერ განხორციელდა ეს არა თუ სასურველი, საჭირო და თელავისათვის აუცილებელი საზოგადოება. 3 მაისს საქალაქო საკრებულოს დარბაზში, როგორც იყო, მოხდა კრება. უნდა დაედგინათ ოქმი განყოფილების გახსნის შესახებ და აერჩიათ გამგეობის წევრნი. კრებაზე დაესწრნენ ისეთი პირნი, რომელნიც დამტკიცებულ წევრთა რიცხვში არ იყვნენ. ამათ ასტეხეს ერთი განგაში, როგორ თუ ჩვენ მიღებულ წევრთა რიცხვში არ მოგვყევითო და თუნდა ეს არა, მაინც ნება გვაქვს ვიყვნეთ არჩეულნიო და სხვ. კამათმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო და საათს გასტანა. კრების თავმჯდომარეს ბ-ნ ვ. კახიძეს დიდი ცდა დასჭირდა, რომ არჩევნები როგორმე მოხდარიყო. როგორც იყო დაადგინეს ოქმი განყოფილების გახსნის შესახებ და აირჩიეს გამგეობა 3 კაცისაგან. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერთხმად თელავის მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მ. ზ. ჭავჭავაძე, ხოლო წევრებად ვ. ბ. კახიძე და ნ. ი. მამინაიშვილი. უნდა აერჩიათ 7 წევრი, დანარჩენ ოთხს განყოფილების დაკანონების შემდეგ აირჩევენ. **დავიწყებული.**

სოფ. ოფშკვითი (ქუთაისის მაზრა). ჩვენს ახლო-მახლო სოფლებში სიმინდის თესვა-მოყვანის გარდა მისდევენ ბაღ-ბოსტნის მოყვანასაც. ყველაზე მეტს სთესავენ კომბოსტოსა, რომელიც ადრე მოდის და კარგ ფასშიაც იყიდებოდა წინად და ათას საჭიროებას იკმაყოფილებდა ხალხი. მაგრამ ეს რამდენიმე წელიწადია კომბოსტოს ფასმა ძალიან იკლო. ეხლა იმის მესამედსაც ვეღარ იღებენ, რასაც წინად იღებდნენ. ფასის დაწევას ოფშკვითსა და საჟულიაში სულ რამდენიმე კაცი იწვევს. მათის წყალობით ლამის ხალხს გული გაუტყდეს და ბაღ-ბოსტნის მუშაობაზე ხელი აიღოს. ამ ვაჟბატონებს პირი აქვთ შეკრული, სხვა ქვეყნიდან მოსულ დიდრონ ვაჭრებს სოფლებში არ უშვებენ და ხალხს იძულებულს ხდიან ჩიახურის ფასად ჰყიდოს კომბოსტო. იღებენ თითონვე ნისიად და ჰპირდებიან, საკომისიოდ, გაგიყიდით კაი ფასადო. ხალხიც გულუბრყვილოდ ენდობა და, რასაკვირველია, ტყუვდება. ოცი და ოცდაათი თუმნის მოსალოდნის სამ-ოთხ თუმანს ძლივს თუ არგუნებენ. როცა ეკითხებიან, ეგრე ცოტას რად გვაძლევთო, მიზეზად ათას რამეს ასახელებენ. თუმცა ტფილისში, ბათუმში და სხვა ქალაქებში გაზაფხულზე ფუთი კომბოსტო 2-3 მანეთზე მეტად იყიდება, მაგრამ ჩარჩები აბაზის ანგარიშს ძლივს აძლევენ. როცა მშრომელს შრომა არ დაუფასდება, გული გაუტყდება, მაშ რა იქნება!

ერთმა აქაურმა სოფლელმა შემომჩივლა: ამ რამდენიმე წლის წინად ბათუმელი ვაჭარი ამბაკო კაკაბაძე ჩვენში „ფხალს" ყიდულობდა, კაი ფასს გვაძლევდა, ერთის სიტყვით, მაშინ „სული ჩავიბრუნეთ" და წავხალისდით, რომ უფრო მეტი მოგვეყვანა, მაგრამ ბუჭაია არიშიძემ და რამდენმამე იმისმა ამხანაგმა იმდენი „უჩხანკლეს", რომ აქედან მოიშორეს და იმათ დარჩათ ბურთი და მოედანი. სხვა მხრიდან თუ წამოვიდა მყიდველი მუხიანაში უხვდებიან, სოფელში არ უშვებენ და, თითონ, რაც უნდათ, იმას შვრებიანო...

ამ სოფლებში წელსაც დიდძალი კომბოსტოა დათესილი. ხალხი გულის ფანცქალით ელის რიგიან ფასს მიმცემ მუშტარს და აღებულ ფულით სიმინდის ყიდვას, რომელიც ბევრი აკლია წელს, და ბევრი სხვა საჭიროების დაკმაყოფილებას, მაგრამ ვინ იცის, რომ წელსაც წვრილი ჩარჩების ხელში არ ჩავარდებიან. საჭიროა ამ გარემოებას ხალხისთვის გულშემატკივარმა [illegible] ყურადღება მიაქციონ.

ურჩევთ დიდრონ მყიდველებს პირ-

მოხსნილი. პროვინციაში გაქცეული რეაქციონერები დაჭერილი მოჰყავთ. სამხედრო სასამართლოები განუწყვეტლივ მუშაობენ. რამდენიმე ათეული კაცი კიდეც დასაჯეს სიკვდილით. ზოგიერთი პროცესი თავის ტრაგიზმით საფრანგეთის დიდი რევოლიუციას მოაგონებს კაცს. გულის მომწყვეტი „Stamboul"-ის მიერ გამოქვეყნებული სცენა სიკვდილით დასასჯელი ჯარისკაცთა და სამხედრო სასამართლოს მოხუც წევრს შორის. „ჩვენ ღირსნი ვართ სასჯელისა,—ამბობენ ჯარისკაცები,—ჩვენის მოქმედებით კინაღამ სამშობლო დავღუპეთ, მაგრამ ღმერთმა ჰკითხოს, ვინც ეს საქმე დაგვმართაო". სასამართლოს წევრი თვალცრემლიანი უცხადებს: „შვილებო, ჩემი ღვიძლი შვილებიც რომ იყვეთ, სიკვდილს გადაგიწყვეტდით სხვებისთვის სამაგალითოდ, ჩვენი ქვეყნის ხსნა ამას მოითხოვსო".—„ჩვენ მზად ვართ მოვკვდეთო", უპასუხეს დასასჯელებმა.

სულგრძელობას იჩენენ ახალგაზრდა ოსმალნი. თუ კი რასმე ხელი წამოევლება, არაფერს არა ზოგავენ, რომ დამნაშავენი სიკვდილის დასჯას გადაარჩინონ. ცნობილი მურად-ბეი, რომელიც იმ თავითვე სამარცხვინო როლსა თამაშობდა ოსმალეთის მოძრაობაში და რომელიც ახალგაზრდა ოსმალებმა რამდენჯერმე იპატიეს, უმთავრესი ორგანიზატორია უკანასკნელ კონტრ-რევოლიუციისა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ოსმალები სცდილობენ სიკვდილს გადაარჩინონ ეს მოხუცი. ამისთანა მაგალითი ხშირია და ყველაზე უკეთ ამტკიცებს ახალგაზრდა ოსმალების ძლიერებას.

ახალ სულთანს სათნოიან კაცს ამბობენ. როგორც აქაურმა მაჰმადიანებმა ქართველებმა გადმომცეს, იგი ქართველი დედის შვილია და მემკვიდრეც ქართველ ქალისაგანა ჰყავსო. ეტყობა, კარგად აქვს შეგნებული, ვისი წყალობით ავიდა ტახტზე და არც მალავს ამას. ხალხში ხშირად სცდილობს გამოსვლას და უშინაარსო ტრადიციებს მაგდენად პატივს არა სცემს. ქვეყნის მმართველობა სრულიად ხალხის ხელში იქნება.

მინისტრების კაბინეტის შედგენა სულთანმა მიანდო დიდ ვეზირად ნამყოფ ხილმი-ფაშას, რომლის დაბრუნებას ხალხი და ჟურნალ-გაზეთობა აღტაცებით მიეგება. „მისი დაბრუნებაო, ამბობენ გაზეთები, მოასწავებს საპარლამენტო მუშაობას იმ ადგილიდან, რომელზედაც ის შესწყვიტა კონტრ-რევოლიუციამაო". ახალი კაბინეტი მთლად დეპუტატებისა და სენატორებისაგან არის შემდგარი და თავის რიცხვში ჰყავს ცნობილი ინტელიგენტი მოღვაწენი.

განვლილმა ამბებმა უსარგებლოდ არ ჩაიარა ახალგაზრდა ოსმალებისთვის. თუ წინად ზედმეტი აუჩქარებლობა არ შეეფერებოდა იმათ მდგომარეობას, დღეს ისინი უფრო მხნედ მოქმედებენ. განსაცდელის სიახლოვემ ენერგია გაუათკეცა.

ასეთივე ატმოსფერა ტრიალებს პარლამენტში და ეს სულის განწყობილება დიდად ნაყოფიერ კანონმდებლობით მუშაობას უქადის ოსმალებს ახლო მომავალში.

გადახვეწილი.

დაპირ მოვიდნენ ხოლმე ჩვენს სოფლებში კომბოსტოს სასყიდლად.

წლს საშინელი სიცხე და გვალვა დაიჭირა ჩვენსკენ. აღდგომას აქეთ ციდან ნამი არ ჩამოვარდნილა. ყანები შესამედიც არ არის დათესილი. თუ დიდხანს ეგრე გასტანა, შიმშილი აუცილებელია. ადვილად შეიძლებოდა, რომ ნათესი არ გაფუჭებულიყო გვალვის დროს, რომ ჩვენს სოფელს მეტი შეგნებული კაცები ჰყავდეს და მდინარე რიონიდან სარწყავ არხებს გამოიყვანდნენ. მაგრამ ვინ არის პატრონი, რომ ითაოს. უმეტესობას არა აქვს იმდენი შეგნება, მხოლოდ უმცირესობისთვის ძნელია.

ვ. პალაგიაშვილი.

ოსმალეთი

ხელშეკრულობა იაპონიასა და ოსმალეთს შორის.

სტამბოლის დიპლომატთა წრეებში ხმა გავრცელდა, რომ იაპონიამ და ოსმალეთმა ხელშეკრულობა დასდეს ერთმანეთს შორისო.

აბდულ-ჰამიდმა ფული გადასცა სახელმწიფო ხაზინას.

აბდულ-ჰამიდმა 1,000,000 გირვანქის ჩეკი ჩააბარა მთავრობის წარმომადგენელს. ეს ფული უნდა მიიღონ ბანკიდან და ოსმალეთის სახელმწიფო ხაზინას გადასცენ. (რ. ს.)

აბდულ-ჰამიდი სალონიკში.

მას აქეთ რაც აბდულ-ჰამიდი სალონიკში მიიყვანეს, სალონიკის საქალაქო თვითმმართველობამ 500 გირვანქა გადაიხადა მის ანგარიშში. ამ დღეებში აბდულ-ჰამიდმა მოითხოვა, რომ მისთვის იყიდონ ორი ხარი, ძაღლი და ცხვარი.

ალი-ქემალი პარიზში.

გაზ. „იკდამ“-ის რედაქტორი და აბდულ-ჰამიდის ჯაშუშად ნამყოფი ალი-ქემალი, რომელიც სამხედრო სასამართლომ სტამბოლში დაიბარა, თურმე ამჟამად პარიზში იმყოფება. მას უთქვამს, პარიზში დავრჩები, სტამბოლში არ წავალო.

რეაქციონერების განზრახვა.

სამხედრო სასამართლოებმა დაამტკიცეს, რომ კონტრ-რევოლიუციის დროს ილდიზ-კიოსკიდან ბრძანება მიუციათ ჯარისკაცებისთვის ყველა განათლებული აფიცერი გაწყვიტეთო.

ახალგაზდა ოსმალ. და ქრისტიანები.

გენერალისიმუსმა შევკეთ-ფაშამ, პალატის თავმჯდომარემ ახმედ-რიზამ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ფერიდ-ფაშამ ვიზიტები გაუკეთეს ბერძნის მსოფლიო პატრიარქს. ეს პირველი მაგალითია ოსმალეთის ისტორიაში. ჰფიქრობენ, რომ ეს ვიზიტი იმისი მომასწავებელია, რომ ახალგაზდა ოსმალები ძირეულად სცვლიან ძველ პოლიტიკას და დიდის პატივისცემით მოექცევიან ოსმალეთის ქვეშევრდომ ქრისტიანებსო.

ახალი სულთანი.

სულთანმა მაჰმად მეხუთემ ჯარს მიჰმართა მოწოდებით, რომელშიაც მადლობას უხდის მას კონსტიტუციის მამაცად დაცვისთვის.

რამდენიმე ალბანელმა წინამძღოლმა არ იცნა ახალი სულთანი. ამ მოძრაობის მეთაურები დაატუსაღეს, ხოლო სულთანმა მადლობა გამოუცხადა იმ მეთაურებს, რომლებმაც ერთგულება გამოუცხადეს მას.

ბოლგარები სამხედრო სამსახურში მიღებას თხოულობენ.

მაკედონელმა ბოლგარებმა გამოუცხადეს მონასტირის ვილაეთის მოხელეებს, სამხედრო გადასახადს აღარ გადავიხდით, ჩვენი ყმაწვილი კაცები დაუყონებლივ გაიყვანეთ ჯარშიო.

რკინის გზების გაყვანა მაკედონიაში. როგორც ვიცით, სტამბოლიდან სალონიკსა და მაკედონიის სხვა ქალაქებში მიიყვანეს 11 ათასამდე ჯარისკაცი, რომლებსაც მონაწილეობა მიეღოთ კონტრ რევოლიუციაში. ამ ჯარისკაცებს ამუშავებენ ახალ რკინის გზებზე. მთავრობა მრავალ ახალ რკინის გზის გაყვანას აპირებს მაკედონიაში. მათგან უმთავრესები შემდეგია: მიტროვიცა-უვაზის გზა ნოვო-ბაზარზე (230 კილომეტრი), სალონიკი-მონასტრისა (829 კილომეტრი), საბერძნეთის საზღვრისკენ და სხვა. ჯარისკაცებს დღეში ექნებათ 3—4 პიასტრი (პიასტრი 8 კაპ.) დღეში: მათ ზედამხედველობას ჰუწევენ სალონიკის კორპუსის აფიცრები.

ფონ-დერ-გოლცი. ცნობილი გერმანელი გენ. ფონ-დერ-გოლცი, რომელიც ადრე იყო ოსმალეთის ჯარის ინსტრუქტორად, მიიწვიეს ოსმალეთის სამსახურში.

სპარსეთის ამბები

რუსის ჯარი გავა სპარსეთიდან.

„ბაქუ“-ს ატყობინებენ თეირანიდან: „ამ წამს ცნობა მიიღეს სარწმუნო წყაროდან, რომ რუსეთის მთავრობა დაჰპირდა სპარსეთის მთავრობას, გენერალ სნარსკის რაზმი დაუყოვნებლივ გავა ადერბეიჯანიდანო“.

სპარსელების პროტესტი.

ნეჯეფის მთავარ-მუშტეიდმა ხოჯა-დულ-ისლამმა დეპეშით მოსთხოვა შაჰს, რუსის ჯარი დაუყონებლივ გავიდეს თავრიზიდანო. ასეთივე დეპეშები შაჰს მოუვიდა რეშტიდანა და ისპაჰანიდანაც.

ამის თაობაზე შაჰმა მოლაპარაკება გამართა რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენლებთან. იმედია, რომ მოლაპარაკება სასურველად დასრულდება. („ზ.“).

ინგლისმა ჯარი გაიყვანა სპარსეთიდან.

როგორც ვიცით დეპეშებიდან, ინგლისმა უკვე გაიყვანა ბუშირიდან (სპარსეთის ყურის ნაპირზეა) თავისი პატარა რაზმი, რომელიც იქ წესიერების დასაცველად მიიყვანა.

სპარსელების უკმაყოფილება.

„რუსკ. ვედომოსტი“ შემდეგსა სწერს სპარსეთის საქმეებზე: „თუმცა ჩვენის ოფიციოზურ პეტერბურგის სააგენტოს დეპეშები ირწმუნებიან, რომ სპარსელი ხალხი სიხარულით მიეგება რუსის ჯარსაო, უცხოეთის გაზეთები მაინც სულ სხვანაირ ცნობებს ჰბეჭდენ ამავე საგანზე. ასე, გერმანულ გაზ. „ტაგ“-ის თეირანელი კორესპონდენტი იუწყება: „აქაურ საელჩოებზე სპარსეთის ყველა კუთხიდან ადგილობრივ ენჯუმენებისაგან მოსდით აურებელი დეპეშა, რომელშიაც პროტესტია გამოცხადებული რუსის ჯარის შემოსვლის წინაამდეგ. კაზვინის რევოლიუციონერებმა შეუწყნარებლად გამოაცხადეს რუსეთის ულტიმატუმი, რომლითაც რუსებმა რევოლიუციონერებს მოსთხოვეს დამშვიდება და თან დაემუქრნენ, წინაამდეგ შემთხვევაში თეირანში გავგზავნით რუსის ჯარსაო. კაზვინელმა რევოლიუციონერებმა სხვა სახელმწიფოებს მიმართეს თხოვნით, საქმეში ჩაერიენითო“.

თავრიზელების უკმაყოფილება.

ამის წინად თავრიზში, როგორც ვიცით, ვიღაცამ თოფი ესროლა და მსუბუქად დასჭრა ერთი რუსის ჯარის-კაცი, ამის გულისთვის გენ. სნარსკიმ 10 ათასი თუმანი გადაახდევინა თავრიზის ენჯუმენს. ამ ჯარიმამ თურმე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სპარსეთის ხალხზე. ამის თაობაზე „ტაიმს“-ის თეირანელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება 3 მაისის თარიღით:

„თავრიზიდან იუწყებიან, რომ რუსის ჯარის ქცევა და უსამართლოდ და თავნებად ჯარიმის გადახდევინებამ ერთის ჯარისკაცის დაჭრის გულისთვის მეტად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში. იქნება სასურველი იყოს გენ. სნარსკის უბძანონ პეტერბურგიდან, რომ ლმობიერი ქცევა უფრო შეუწყობს ხელს ინგლისის და რუსეთის საელჩოების მეცადინეობის და შაჰის მომხრეებისა და რევოლიუციონერების მორიგებას“.

ასეთის დეპეშის დაბეჭდვა იმ გაზეთში, რომელიც ბოლოს დროს ბეჯითად იცავს რუსის პოლიტიკას სპარსეთში, წარმოადგენს სერიოზულ გაფრთხილებას რუსეთისთვის. („რ.“)

გენ. სნარსკის დაპირება.

ორიოდე დღის წინად თავრიზში ერთ რუს ჯარის-კაცს შეტაკება მოუვიდა ერთ სპარსელ ბერიკაცთან, რის შემდეგ ბერიკაცი გარდაიცვალა. ენჯუმენმა წინადადება მისცა გენ. სნარსკის, მოკლულ ბერიკაცის სახლობა უზრუნველყავითო. გენერალი დაჰპირდა, საქმეს გამოვიძიებ და თუ ჯარის-კაცი დამნაშავე აღმოჩნდება, ბერიკაცის ოჯახობას დავაკმაყოფილებო.

შაჰი შეშინებულია.

გერმანულ გაზ. „ტაგ“-ის კორესპონდენტი იუწყება: „ამ ჟამად შაჰი თავის საზაფხულო რეზიდენციაში სულთან-აბადში იმყოფება. თუმცა სულთან-აბადშიაც მიიღეს ღონისძიება შაჰის დასაცველად და იქვე მდებარეობს საზაფხულო სადგომები უცხოეთის ყველა საელჩოსი, მაინც, როგორც ისმის, შაჰი დიდხანს არ დარჩება აქა და გადასახლდება ტუშან-მანეში, რომელიც წარმოადგენს ნამდვილ პატარა ციხეს.

შაჰმა ბრძანება გამოსცა, რომ ჟანდარმერია და პოლიცია ამას იქით ლიახოვის უფროსობის ქვეშ იყოსო. ამას გარდა თეირანის ყაზახთა ბრიგადას ემატება 600 სპარსელი ჯარისკაცი ამ ბრძანებიდან ჩანს, რომ შაჰი და მისი მთავრობა შეშინებულნი არიან“.

ბოლოს დროს დიდძალი ხალხი გავიდა თეირანიდან. (ზ.)

რეშტელ რევოლიუციონერების მოლაპარაკება შაჰთან.

რეშტელი რევოლიუციონერები დაბანაკდნენ თეირანიდან 7 ვერსის სიშორეზე. მათ წარმომადგენლებს განუწყვეტელი მოლაპარაკება აქვთ გამართული შაჰთან იმის თაობაზე, რომ რევოლიუციონერებისაგან დაარსდეს ჯარი კონსტიტუციის და პარლამენტის დასაცველად მთელს სპარსეთში. ამავე აზრით მალე მოვლენ თეირანში სითარ-ხანი, სეპეხდარი და სამსამუს-სალტანე. შაჰმა და უცხოეთის კონსულებმა უზრუნველჰყვეს სრული უშიშროება რევოლიუციონერების მეთაურებისა.

რისთვის გაილაშქრეს რევოლიუციონერებმა თეირანზე.

ერთ გამოჩენილ რუს დიპლომატს, სპარსეთში ნამყოფს, უთქვამს „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისათვის:

რევოლიუციონერები არ ენდობიან შაჰსა და არა სჯერათ, რომ მან სინიდისიერად დაიცვას გამოცხადებული კონსტიტუცია. ამას გარდა, რევოლიუციონერები სხვა მიზეზითაც ცდილობენ შაჰის ჩამოგდებას ტახტიდან. მათ უნდათ, ტახტზე შაჰის მცირე-წლოვანი მემკვიდრე აიყვანონ და ამნაირად მთავრობის ძალა ფაქტიურად თითონ ჩაიგდონ ხელში. გაუწევენ თუ არა შაჰი და მისი მომხრეები ბეჯით წინა ღმდეგობას რევოლიუციონერებს, თუ ესენი იერიშს მიიტანენ თეირანზე,—ეს ბოლოს და ბოლოს დამოკიდებული იქნება რუსეთსა და ინგლისზე. თუ ეს სახელმწიფოები აქტიურ დახმარებას არ გაუწევენ შაჰს, იგი ალბად ან ტახტიდან გადადგება თავის შვილის სასარგებლოდ, ან გაჭირვების წამს გაიქცევა სპარსეთიდან.

ახალი ბრძოლა.

რეშტიდან ატყობინებენ „გორც“-სა: „6 მაისს რუსეთისა და ინგლისის კონსულებს წარუდგა ენჯუმენის დეპუტაცია და გამოუცხადა, რომ შაჰის მომხრე რაშიდ-ულ-მულკი ასტარას ახლო ხეირანში დაეცა რევოლიუციონერების პოზიციებს და დიდის ზარალით უკან დაიხია. თუმცა ასტარელმა რევოლიუციონერებმა გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში, ისინი მაინც პროტესტს აცხადებენ შაჰის ჯარის წინაამდეგ, რომელიც მიუხედავად კონსტიტუციის აღდგენისა, ისევ თავს ესხმის რევოლიუციონერების ჯარსაო.

რუსეთი

◆ **მემარჯვენეები.** „კასპ“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში ლაპარაკობენ, რომ მემარჯვენეები პეტიციას ამზადებენო. პეტიციაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო სათათბირო უნდა დათხოვნილ იქმნას და წინანდელი რეჟიმი დამყარდესო. პეტიციას პოლტავის დღესასწაულების დროს მიართმევენ ხელმწიფე-იმპერატორს. პეტიციას ხელს აწერინებენ ყველა თავიანთ წევრებს. პეტიცია „ნოვოე ვრემიას“ სიტყვით 100,000 მანეთი ჯდება.“

◆ **„ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ საბჭოს ყოფილი საქის მწარმოებელი ბარკოვი.** «ნოვაია რუსში» იბეჭდება «ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» საბჭოს ყოფილ საქმის მწარმოებლის ბარკოვის წერილები. ბარკოვი, სხვათა შორის, სწერს, რომ პრუსაკოვმა მართალი ილაპარაკა, დუბროვინმა მოაკვლევინა გერცენშტეინი. გერცენშტეინი მოუკლავს ლარიჩკინს. ბარკოვი თანახმაა სასამართლოში გამოცხადდეს და ყველაფერი გამოაქვეყნოს.

◆ **სტოლიპინი.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი ერთი თვით საზღვარ-გარედ წავა.

◆ **სახელმწიფო საბჭოში.** როგორც ვიცით, მემარჯვენეებს სახელმწიფო საბჭოში შეაქვთ კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა შეიცვალოს არჩევნები დასავლეთ რუსეთის 9 გუბერნიაში. არჩევნები ისე უნდა შეიცვალოს, რომ 9 დეპუტატიდან 6 რუსი იყოს და სამი პოლონელი. ამის გამო სახელმწიფო საბჭოს წევრს კორვინ მილევსკის საბჭოს თავმჯდომარესთვის წერილით მიუმართავს. წერილში ნათქვამია, რომ რადგან დასავლეთ რუსეთის 9 გუბერნიის არჩევნები მემარჯვენეებს უკანონოდ და უსამართლოდ მიაჩნია და მე კი სწორედ ამ გუბერნიებიდან ვარ ამორჩეული, ამიტომ სახელმწიფო საბჭოს წევრობას თავს ვანებებ, რადგან მე რაღაც „ვიგინდარას“ მდგომარეობაში მაყენებენ მემარჯვენეებიო. სახელმწიფო საბჭოს სხვა პოლონელი წევრები ჯერ-ჯერობით უარს არ აცხადებენ წევრობაზე.

◆ **ლ. ნ. ტოლსტოის წერილი.** 12 მაისს, პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ვინმე სელკენისა, რომელსაც ტოლსტოის ბროშიურების გამოცემა და გავრცელება ჰბრალდებოდა. ტოლსტოის სელკენის საქმის გამომძიებლისთვის შემდეგი წერილი გაუგზავნია: (ეს წერილი სასამართლოში წაიკითხეს) „მოწყალეო ხელმწიფევ! ნიკოლოზ ევგენის ძე სელკენს სამართალში აძლევენ. მას ჩემი წიგნაკების „არ მოჰკლა“, და „ქრისტეს მოძღვრება და პატრიოტიზმის“ გავრცელებას აბრალებენ. რადგან ეს წიგნაკები მე დავწერე და ამათი გამოცემა ჩემი სურვილით და დახმარებით ერთმა ჩემმა მეგობარმა იკისრა და ამ წიგნაკების გამოცემაში სელკენს აქტიური მონაწილეობა არ მიუღია, ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, რომ სელკენის მაგიერ მე დამადოთ ბრალი და სამართალში მიმცეთ. მე რამდენჯერმე განვაცხადე და ახლაც ვაცხადებ, რომ რაც კი შემეძლება გავავრცელებ, როგორც ამ წიგნაკებს, ისე სხვა ჩემ ნაწარმოებებს. ამას სანამ ცოცხალი ვარ არ ვუღალატებ გაუწყებთ რა ყველას ამას, გთხოვთ ამის შესაფერი ზომები მიიღოთ. ლ. ტოლსტოი.»

◆ **პარტიიდან გასვლა.** პოლონურ გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვლადისლავ გრაბსკი ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიიდან გასულა მიზეზი არ იციან.

◆ **სახელმწიფო კანტროლიორის ცირკულიარის შესახებ.** ტყუილი გამოდგა ის ამბავი, ვითომ სახელმწიფო კონტროლიორს გამოეცეს ცირკულიარი, ჩემ განკარგულებაში მყოფ დაწესებულებებში პოლონელებს ნუ მიიღებთო.

◆ **ტოლმაჩევი.** „რუსკ. სლოვოს“ ოდესიდან ატყობინებენ: ოდესის გენერალ-გუბერნატორმა გენერალმა ტოლმაჩევმა დაიბარა ებრაელების წარმომადგენელნი და განუცხადა, რომ ებრაელი ინტელიგენტები ჩემზე რაღაც ჭორებს ავრცელებენ გაზეთებში და ამიტომ მე ჩემებურად გავუსწორდები მათ. რაც შეეხება ებრაელების დაბალ წრეებს, უთქვამს ტოლმაჩევს, ისინი პოლიტიკაში არ ერევიან და ამიტომ მათ ხელს არავინ ახლებს, პირიქით დახმარებას გაუწევთო.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.

საღამოთი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—84)

ზედამხედველი კომიტეტ
მიხეილის სათავად-აზნაურო სა
ადგილ-მამულო ბანკის ქუთაისში

თანახმად წესდების მე-89 § ისა, ს ყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკ რწმუნებულთა მორიგი წლიურ კრება დანიშნულია ქ. ქუთაისს ბანკის სადგომში 31 მაისს 1909 წ. დილით 11 საათისთვის. იმავე მე-89 §-ი წესდების დამატების ძალით კრებ ითვლება კანონიერად შემდგარი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი რწმუნებული დაესწრება კრებას.

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში 1908 წლისა.
2. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვა
3. მოგების განაწილება.
4. შეცვლა და დამატება ბანკ წესდების რამდენიმე მუხლისა §§ 1 17, 21, 22, 77, 101 და 102.
5. ბანკის მოსამსახურეთა საპენ სიო კასის ანგარიში.
6. კომისიის მოხსენება შესახ ბანკზე დარჩენილ მამულებისა საჭირო წესდების შედგენა იმ მამ ლების მართვისა.
7. მოხსენება კრების მიერ არჩ ულის კომისიისა შესახებ საპენსი კასის წესდებისა §-ის შეცვლისა დამატებისა.
8. ზედამხედველ კომიტეტის წე რების არჩევა იმათ მაგივრად, რო მელთაც ვადა უთავდებათ.

(2—6.—1)

იყიდება

ორი ნაჭერი მიწისა თავად-აზნაურ გიმნაზიასთან ვერაზე, ვაკეში: 1. ზომ 360 ოთხკუთხი საჟ.; 2.—436 ოთხკ. სა ორივე კუთხის ადგილია. იკითხეთ გ. ყ ფშიძესთან იქვე, საკუთ. სახ., დილ 10 საათამდე და საღამოთი 4—7 საათ
(4—260—1

გაფრთხილება
დ. ზ. სარაჯიშვილისა
კანტორა ტფილისში.

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ბ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“**, და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე“**.
(20—234—5)

პროვოდნიკის
1897 წ.
1908 წ.
1888
ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●

რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,
რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,
რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,
იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,
რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,
რეზინის სათამაშოები და ბურთები,
რეზინის საგალანტერეიო საქონელი,
საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას

ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების
„პროვოდნიკი“-სა

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აბლაძე.